

ემზარ კვიციანი
(საქართველო)

გიორგი ლეონიძე და ძველი პოეტები

საგანგებო აღნიშვნა არც ჭირდება იმას, სიძველეთა, საუკუნოვანი ტრადიციების, წინაპართა ღვაწლის რა დაუღალავი დამცველი და დამფასებელია გიორგი ლეონიძე, რაოდენი ამაგი დასდო მან ქართულ კულტურას, მეცნიერებას. ეს ერთობ დიდი თემაა და ამჟამად შევეცდები, ნაწილობრივ მაინც წარმოვაჩინო მისი უგულითადესი დამოკიდებულება, შეუწელებელი ყურადღება და სიყვარული პოეტების – უახლოესი წინამორბედებისა თუ შორეული წინაპრების მიმართ.

გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი საუკეთესო, უძლიერესი ლექსთაგანი ასევე დასათაურებული – „ძველი პოეტები“ და პირველსავე სტროფში გაცხადებულია შთამომავლის უსაზღვრო თაყვანისცემა სულეთიდან გამომობილი წმინდა აჩრდილებისადმი:

მეჩვენებთან მე პოეტები,
ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა.
ზოგი მღეროდა ბულბულის ბაღში,
სხვა უნაგირის ტახტაზე წერდა.
(ლეონიძე 2000: 200)

აქ ხელაღვე საცნაურია სათქმელის უჩვეულოდ თამამად, თავისებურად გამოსატვის დაუოკებელი სურვილი. „ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა“ – გვამცნობს პოეტთა თავდადებას, რომლებიც სიცოცხლის მიწურულამდე იბრძოდნენ მამულის დასაცავად და სადიდებლად. ლექსებში მეტყველების ასეთ სითამამეს არაერთგან იჩენს გიორგი ლეონიძის უსაყვარლესი პოეტთაგანი, უცხოობაში დაღუპული ბესიკი. გავისხენოთ თუნდაც ქართული სატრფიალო ლირიკის ნაღველშერეული შედევი „ცრემლთა ისხარნი“, თბილისთან სამუდამოდ განშორების ჟამს რომ დაწერა. ორიოდე სტრიქონის მოხმობაც იკმარებს, რათა მისი სიტყვის ძალა და მოქნილობა შევიგრძნოთ:

დაბერდა ყური, სევდის ჭური, რა ჰპოვა სოფლით,
დაბინდნა თვალნი, შეუმკრთალნი, ცრემლით და ოფლით...
(ბესიკი 1962: 46)

იქვე, ყურის „სევდის ჭურად“ მოხსენიება სულიერ ტკივილს ამძაფრებს, მაგრამ სწორედ „დაბერდა ყური“ არის ის, რასაც ენათესავება ლე-

ონიძისეული „ხმით შეაბერდა“. გაბედული მეტაფორა – ყურისა და ხმის დაბერება აბამს ძნელად სახილველ ძაფს ბესიკსა და გიორგი ლეონიძეს შორის, აახლოებს მათს მსოფლჭვრეტას, გამოხატვის ახლებურ ხელოვნებას.

გასული საუკუნის სამოციანელთა თაობის უნიჭიერესი პოეტი ოთარ ჭილაძე ერთ ლექსში („ძალიან მალე იცლება ჭიქა“), ნანატრი არსების მოლოდინით დაქანცული, მღელვარებასა და გულისტკივილს ასე გამოთქვამს:

და კვლავ იმ პირველ ელდით ვარ სავსე,
ვით ციხე მტრებით გარემოცული,
თუმცა თვალები დაბერდნენ გზაზე
და ვერ გიხილეს ჩემთან მოსული.

შეყვარებულისთვის ნლობით დაგუბებული სევდა რომ გაემხილა, მან ყველაზე შესაფერისად მზერის დაბინდვა, ლოდინის ხანგრძლივობის მიმანიშნებელი თვალების დაბერება მიიჩნია, რამაც მიბიძგა, მოტანილი ხატი ბესიკისა და გიორგი ლეონიძის ამდაგვარსავე ტროპულ მეტყველებასთან დამეკავშირებინა. სამივეგან ხანდაზმულობა ანუ სიბერე ფიგურირებს. ამგვარი უნებური დამთხვევები პოეზიაში არც ისე იშვიათია და აქ რაიმე პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა. ერთი ფრანგი ლიტერატურათმცოდნე ასეთ შემთხვევებს ერთმანეთთან დროით დაშორებულ პოეტთა შორის მეგობრულ გადაძახილს უწოდებს.

ახლა კვლავ „ძველი პოეტების“ პირველ სტროფს უნდა მივუბრუნდე. „ზოგი მღეროდა ბულბულის ბაღში“, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზ პირველსა და ბესიკს გულისხმობს, რომლებზედაც საგანგებოდ მომიწევს ზოგი რამის თქმა. ბოლო სტრიქონი კი – „სხვა უნაგირის ტახტაზე წერდა“ – უეჭველად სხვა მეფე პოეტის, ერეკლეს მამის, თეიმურაზ მეორის ხიფათიანი, მოუსვენარი ცხოვრების სინამდვილეს ასახავს, რაც მისსავე ლექსთა ნაკრებში („სარკე თქმულთა“) შეგვიძლია ამოვიკითხოთ:

ვსწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი, იქით და აქეთ, სად არი!
(თეიმურაზ მეორე 1939: 2)

რალა თქმა უნდა, გიორგი ლეონიძისეული „...უნაგირის ტახტზე სწერდა...“ – ბევრად ამაღლებულად, სახიერად და მიმზიდველად წარმოგვიდგენს გამუდმებით ლაშქარს მყოფი, უშიშარი მხედარი მეფის დასამახსოვრებელ იერს. მომდევნო სტროფში ხელხვავიანად არის წარმოჩენილი წინაპარ პოეტთა ძალოვანება, მათი სიტყვის თვალისმომჭრელი სხივმოსილება:

მღეროდნენ, როგორც დიდი წვიმები,
ვით ფრინველები ათასხმიანი,
გადაჭიმული ჰქონდათ სიმები
და არ იცოდნენ ლექსის ხრიალი.
(ლეონიძე 2000: 200)

ასე მხოლოდ გიორგი ლეონიძე იტყობდა. გაბმულად შთაგონების ნეტარ ტყვეობაში ყოფნა და ნაირგვარი ჰანგების ბუნებრივად გამოცემა მხოლოდ მას შეეძლო „დიდი წვიმებისა“ და „ათასხმიანი ფრინველებისათვის“ შეეძარებინა. ასეთ დროს, ჩვეულებისამებრ, დამხმარე სიტყვების („როგორც“, „ვით“) გამოყენებას არ ერიდებოდა. პოეზიის ერთ-ერთ სიმბოლოდ მიჩნეული „გადაჭიმული სიმები“ სიმღერისათვის განუწყვეტელ მზაობაზე მიგვანიშნებს. ხოლო – „არ იცოდნენ ლექსის ხრიალი“ – სათქმელის ძალდაუტანებელ, ლალ მდინარებასა და უმაღლეს ოსტატობაზეა ზედგამოჭრილი.

ამას მოსდევს მოლანდებულ წინაპართა დასახელება, მაგრამ სია, ლექსის რიტმი რომ არ დაირღვეს, სტრიქონთა რაოდენობა და საზომი შენარჩუნდეს, შეკუმშულად, მომჭირნედ არის მოწოდებული, თუმცა ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ჩამონათვალს მიღმა დარჩენილთა მიმართ ავტორი თითქოს მოკრძალებასა და თავყვანისცემას არ განიცდიდეს (ნიშანდობლივია, რომ ამგვარი სია სხვადასხვა ლექსებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი). რამდენი მეხთატეხა და უბედურება აღარ გადაიტანეს, რა ქარიშხლებს შეაგებეს მკერდი სვეგამწარებულ სიცოცხლეში, მაგრამ მათ ვერაფერმა უცვალა ნირი, ვერ მოუკლა ლექსთა თქმის თანდაყოლილი ჟინი:

ხმაღმა, ხანძარმა,
კალიამ, ჭირმა
მათი სიმღერა ვერ შაანელა, -
შოთა,
ბესიკი,
გურამიშვილი,
ჯიხტყავიანი ვაჟა-ფშაველა'
(ლეონიძე 2000: 201)

ზმნის კუთხური ფორმა – „შაანელა“ – აქ განზრახაა, არა მარტოდენ გასართმავად და სასურველ შთაბეჭდილებასაც ახდენს, თავისებური სურნელის დამაფრქვეველია. მსგავსი მაგალითების („აბანოდან ამავლის“, „გულში გაარტყავს ტყვიასა“ და მისთანანი) მოძიება სხვა ლექსებშიც შეიძლება და ეს პოეტის უტყუარ ალლოზე მეტყველებს.

ლექსს მოხდენილად კრავს ბოლო, მეხუთე სტროფი და ეს ნათელყოფს, რომ ამქვეყნიური ცხოვრების დასრულებასთან ერთად მათი დანატოვარი არ დადუმებულა, მიწის წიაღიდანაც ჟღერს და მათი ნამღერის „ათასხმიანი ფრინველებთან“ შედარება მარადისობის, უკვდავების საწინდარია:

მაინც ჟღავიან დედამიწიდან,
არ გათავდება მათი ნუგეში
და სამუდამოდ ჩაბუდებულან
სიმებისაგან დაწნულ ბუდეში.
(ლეონიძე 2000: 201)

ფინალური სტრიქონები ზეანეული, მაჟორული სულაც არ გახლავთ, მაგრამ შეუცდომლად არის მიგნებული, უთუოდ შეეფერება სულეთში დაბინავებულთა უშფოთველ, დაურღვეველ სიმყუდროვეს – „სიმებისაგან დან-ნულ ბუდეში“ დავანებაზე, რაზედაც სიტყვასთან შეჭიდებული არცერთი შემოქმედი არ იტყოდა უარს.

გარდასულ ეპოქათა შემოქმედებთან სიახლოვის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი შედეგრი „მყვირალობა.“ სრულიად აშკარაა, რომ იგი ლაღადაა ამოზრდილი მეფე პოეტთა (თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, ვახტანგ მეექვსე...) მონადირული ლექსებიდან, თუმცა წიგნურობის კვალი ოდნავადაც არ იგრძნობა; ნაირ-გვარი ტექსტებიდან (იგი ძველ ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებსაც საფუძვლიანად იცნობდა) პოეტმა ერთმანეთთან საალერსოდ ატეხილი, ჟინისგან გარეტებული, ეკალ-ბარდების გადამთქერავი ირმების ჯოგი დასძრა, ენკენისთვის ბანგით გაჟღენთილი სურნელება გვაგემა, წითელ-ყვითლად აჭრელებული შემოდგომის ტყე ააშრიალა.

გიორგი ლეონიძის პოეზიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში – „ქართული სიტყვის ბაზიერი“ – მე საგანგებოდ დავაკვირდი „მყვირალობას“ და მრავალი საყურადღებო პარალელი, არაერთი დამთხვევაც დავძებნე, რასაც აქ აღარ გავიმეორებ. სხენებულ გამოკვლევაში დიდძალი მასალის შესწავლის შემდეგ აღვნიშნე: „...გიორგი ლეონიძემ შეუმცდარად იცოდა ამა თუ იმ შედარებით მივიწყებულ ნაწარმოებში ცოცხალი ნერვის პოვნა და ძველის ახალ კონტექსტში მოქცევა, ახლებურად ამეტყველება“ (კვიტიციანი 2003: 105-106).

აქვე იმასაც მივუთითებდი:

„ნადირობის სცენების სათავის დამდები (თუ ჩვენს უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებას არ ჩავთვლით) და უპირველესი ოსტატი ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია (გავიხსენოთ თუნდაც როსტევეან მეფისა და მისი სასიძოს – ავთანდილის – ფანტასტიკური შეჯიბრი ნადირთა ხოცვაში)“ (კვიტიციანი 2003: 107).

გიორგი ლეონიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე აღმერთებდა და ეთაყვანებოდა რუსთაველს. ამას მისი შემოქმედება თვალნათლივ მონშობს. „ვეფხისტყაოსანზე“ მხოლოდ ლეონიძეს შეეძლო ეთქვა: „შენ, დედაჩემის, მზითეგო, ფარ-ხმალო მამა-პაპისა!“ წინამორბედთაგან განსაკუთრებულად გამოაცალკეებდა, აგრეთვე, გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას, რომელთაც არაერთი გულმხურვალე სტრიქონი უძღვნა. ისე, როგორც ვაჟა მიმართავდა „უძვირფასეს პაპას“, „დავითიანის“ ავტორს: „მიშველეთ შენ და შოთამა, მგოსნობა გამიზრახაო“, ასევე, გიორგი ლეონიძეც ემუდარება გურამიშვილსა და ვაჟას: „გთხოვთ, წინაპრებო, მიშველოთ, სათქმელი გამილომგულოთ!“ ამავე ლექსში მოკრძალებულად, მაგრამ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იგი ამ ორთა მემკვიდრეა:

ხელუკუღმართი როდი ვარ,
სიტყვა მაქვს გამოკვანძილი,
თქვენს ნაგზაურზე მოვდივარ,
დიდი გქონიათ მანძილი.
(ლეონიძე 2000: 253)

ამის დამწერს გაშინაგნებული ჰქონდა საქართველოს მთელი კულტურული წარსული და ამაგდარ წინაპრებს მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებდა, როგორც პოეტი და მეცნიერი. დღემდე მისაბაძად რჩება მის მიერ გამოცემული ფეშანგის „მაჰნავაზიანი“ და იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“, რომელთაც ძალზე ღირებული გამოკვლევები და განმარტებები აქვს დართული.

ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე თამარ იშხნელის შვილიშვილის მანანა მენაბდის ლალ ჰანგებად დაძრულ ქართულ სიმღერებს. განსაკუთრებულად მომწონს ბესიკის ტექსტს მორგებული რომანსი „სტვენს ბულბული“, სადაც რეფრენად გამოყენებული ოთხი, მაჯამურად გართმული ტაეპი ხუთჯერ მეორდება. სწორედ ამ ნაღვლიანმა რეფრენმა, უფრო კი ერთმა უცნაურმა ეპითეტმა, ადრევე მიიქცია ჩემი ყურადღება:

საბრალო, აი რა,
ხმადამთვრალ აირა,
მაისობ, ისარს ისობ,
ის გიხარის, ვაი, რა!
(ბესიკი 1962: 58)

უმაღლესი გამახსენდა, რომ ეს უიშვიათესი, მოულოდნელი ეპითეტი ოცდაათიანი წლების (მისი ნიჭის ამოფრქვევის წამს) ერთ-ერთ უძლიერეს ლექსში – „საათნავა“ – შესაშური ოსტატობით აქვს გამოყენებული შესაფერად ადგილას და ასევე მეორე სტრიქონში, გაფერილი ძვირფასი თვალისით ჩასმული გიორგი ლეონიძეს:

შე სანყალო ფეიქარო,
ხმადამთვრალ საათნავა,
ჭიანურო, ცეცხლის მყრელო,
რა ნაღველმა გაგათავა?!
(ლეონიძე 2000: 189)

ბესიკი თავის ასამღერებელ სატრფიალოში უთუოდ რომელიღაც ბოჰემურ პიროვნებას მიმართავს. გიორგი ლეონიძე ჟრუანტელის მომგვრელ ლექსს უძღვნის „საქართველოს მეფის საზანდარს“; ეპითეტებიც თითქმის იგივეა, „საბრალოს“ ენაცვლება „სანყალო“ (ესენი სინონიმებია), ხოლო „ხმადამთვრალ“ კი უცვლელად მეორდება, მაგრამ ბესიკის ლექსში თუ იგი რამდენადმე ჩაკარგულია, ლეონიძისაში სულ სხვა ელვარებას იძენს; აქ უკვე

მხოლოდ სიყვარული ან ღვინით გაბრუნება კი არ გამოდის სააშკარაოზე, უფრო ლექსით, მუსიკით, შთაგონებით თრობა, დაბანგვა იგულისხმება. თანვე, პოეტი, როცა თბილისის უპირველეს აშულს ეუბნება: „ჭიანურო, ცეცხლის მყრელო, რა ნალველმა გაგათავა?!“, ექსტაზი არნახულად ძლიერდება. თვითონ შეკითხვა კი („რა ნალველმა გაგათავა“), აშკარად რიტორიკულია, პასუხს არ საჭიროებს – ლექსის თავში, პირველსავე სტრიქონებში გაცხადებულია:

ეს საწყალი საათნავა სიყვარულმა გაათავა!
(ლეონიძე 2000: 188)

შეიძლება ითქვას – გიორგი ლეონიძის ლექსი გაასხივოსნა, უქრობი შარავანდედით შემოსა ბესიკის მიერ ბედნიერად მიგნებულმა ეპითეტმა („ხმადამთვრალ“) და „სევდის ბალის“ დამწერს ეს დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს პუშკინის ნათქვამის ჭეშმარიტებას რომ „ეპითეტი – პოეზიის სულია.“ მუდამ უნდა გვახსოვდეს – ყველაზე მეტად ზუსტად მოძებნილი ეპითეტი მიგვახვედრებს, როგორი ძალისა და შესაძლებლობების, რა ღირსების პოეტია ჩვენს წინაშე.

იმავე ოცდაათიანი წლების ასეთსავე ღონიერ სხვა ლექსში, („მამ რა ვუყვით, პოეტებო..!“) ბესიკი და საიათნოვა დანყვილებულია და სიყვარულისგან დამწვრებს პოეტი განზრახ (ეს კონტრასტის ძველისძველი, უბერებელი ხერხია) უსიყვარულობას სწამებს, რითაც ვნებისგან მათი გახელება კიდევ უფრო გამძაფრებულია; იმათ , მკერდში დაუტევარ, გულებს, მთლად ცეცხლის ალში ხვევს:

...ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა ვეფხვის ძალი, –
სამაია სამთაგანა!
(ლეონიძე 2000:190)

გიორგი ლეონიძე მანამდე მოტანილ სტროფში ერთი ზეპირ გადმოცემას ეყრდნობოდა, როცა საიათნოვას ფეიქრად მოიხსენიებს. გარდა ამისა, მას შემოქმედის შეუმცდარი ალლოც კარნახობდა, რომ ფეიქრობა უფრო შეეფერებოდა დიდ აშულს, ვიდრე, მაგალითად, ნალბანდობა. ამ ვარაუდს აღმოსავლურ პოეზიაში დამკვიდრებული მეტაფორაც უმაგრებს ზურგს, რომ პოეტი სათქმელის სიტყვით მქსოველი ანუ ფეიქარია. ქალაქის დაბალი ფენების მაცხოვრებლები ხშირად რამდენიმე ხელობას ფლობდნენ და საიათნოვაც მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. ზოგან იგი თავის თავს ვაჭარსაც ეძახის („შორის ქვეყნის ვაჭარი ვარ.“) ამდენად, გიორგი ლეონიძეს ვერავინ უსაყვედურებს, რომ მან სხვა რამეებს სამ ენაზე პოეტურად მეტყველი აშულის ფეიქრობა ამჯობინა. ისიც გავიხსენოთ, მის ლექსებში რა უხვადაა გაბნეული ძვირფას აღმოსავლურ ქსოვილთა სახელები.

მეტად სანდო სწავლული ლეონ მელიქსეთ-ბეგი საფუძვლიან გამოკვლევაში საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს და მას ცალკე თავიც მიუძღვნა – „საიათნოვას ძირითადი პროფესია“. სომხურ-ქართული ისტორიული წყაროებისა და გამოცემების სანაქებო მცოდნეს მრავალი საბუთის მოჩხრეკა და მოძებნა მოუხდა, სანამ საკუთარ შეხედულებას საჯაროდ გამოთქვამდა. მეცნიერმა ხანგრძლივი დაკვირვება მაინც ფრთხილად, ვარაუდის სახით შეაჯამა:

„ერთი სიტყვით, თვით საიათნოვას ლექსებში მიმობნეული ცნობებისდა მიხედვით თითქოს ირკვევა, რომ იგი უფრო დერციკ-მკერვალი და ბაზაზი-მოვაჭრე უნდა ყოფილიყო ვიდრე ფეიქარი“ (მელიქსეთ-ბეგი 1930: 39).

მეცნიერი სიფრთხილეს არც ამავე თავის ბოლო, მოზრდილ აბზაცში არ ღალატობს, სადაც სავსებით სარწმუნო, დამაჯერებელ თვალსაზრისს გამოხატავს:

„შედარებით უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა დროიდან და რა დრომდე ეწეოდა არუთინა-საიათნოვა დერციკ-მკერვალობას, ხოლო რა დროიდან და რა დრომდე ბაზაზობას? მაგრამ ხომ ადვილი დასაშვებია, რომ იგი თავისი პირვანდელი, ასე ვთქვათ, ძირითადი პროფესიით დერციკ-მკერვალი ყოფილიყო და ამავე დროს, როცა საჭიროება მოითხოვდა, ვაჭრობა-ბაზაზობისთვისაც მოეკიდოს ხელი, მეტადრე თუ ასეთ საქმიანობას მას აკისრებდა საქართველოს მთავრობა, რომლის ზედაფენებშიც იგი მიღებული იყო, როგორც არაჩვეულებრივი ნიჭით აღჭურვილი მგოსანი და აშულ-საზანდარი და რომელსაც, საფიქრებელია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა კერძო დავალებსაც აძლევდნენ“ (მელიქსეთ-ბეგი 1930: 40).

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თავისთავად სწორ მსჯელობას გიორგი ლეონიძის ლექსთან მიმართებაში, (საიათნოვას ფეიქრობაზე) არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. პოეტებს ხშირად ფაქტობრივი სიზუსტე ნაკლებად ანუხებთ, რის უფლებასაც მათ ვერავინ წაართმევს.

ჩვენი დედაქალაქის სახელოვანმა ტრუბადურმა, უკვდავი წიგნის, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის“ ავტორმა იოსებ გრიშაშვილმა, როგორც მას სჩვეოდა, თვალსაჩინო ამაგი დასდო სამ ენაზე მომღერალი სწორუპოვარი აშულის პოეტურ მემკვიდრეობას. საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისმა ხმების კილომ და მოტივებმა მძლავრი გავლენა იქონია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ლექსებზე.

ერთ მცირე წერილში იოსებ გრიშაშვილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულ ცნობებს იმონმებს და წერს: „მუხამბაზი პირველად საიათნოვამ შემოიტანა საქართველოში.“ იმავე, ენციკლოპედიური ხასიათის, ჯერ კიდევ სათანადოდ დაუფასებელ წიგნზე მიგვანიშნებს იგი, როცა გარდაცვლილ საიათნოვასთან დაკავშირებულ ძალზე ამაღლებულ და განსაცვიფრებლად პოეტურ ამბავს იხსენებს:

„საიათნოვა მღეროდა მაშინაც კი, როცა ბერად აღიკვეცა ახპატის მონასტერში, მღეროდა, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს, არ შეეძლო არ

ემლერა, რადგან „მასთან ერთად ეკურთხა მის უბეში ჩარჩენილი ჭიანურის სიმები“ (გრიშაშვილი 2012: 177-178).

უპრიანი იქნებოდა, იოსებ გრიშაშვილს გახსენებოდა წინაპარ პოეტთა მასავით გულდამწვარი ჭირისუფლის, გიორგი ლეონიძის საუკეთესო ლექსთაგანი „თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით“, სადაც „ყვიჩაღის პაემანის“ დამწერმა გენიალური მიხვედრილობა გამოიჩინა და ამ იშვიათ ცნობას სხვაგვარი, არაამქვეყნიური ნათელი მოფინა. ძნელია, მღელვარებისგან ტანში არ გაგაჟრჟოლოს, როცა ამ ლექსის დასასრულს წაიკითხავ:

ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
შენ თუ გასძლებ, შენივ სიტყვის იმედით...
საათნავას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...
(ლეონიძე 2000: 45)

„ჭიანურის სიმები“ ცხადია, სიმღერის, პოეზიის სიმბოლოა, ხოლო „გაყინული სუდარა“ თვალწინ დაგიყენებთ იგავურად ნათქვამი ანთებული სიტყვისთვის თავშენირულ საიათნოვას გაცეიბულ ცხედარს; ამ დაუვინყარ, სრულქმნილ ხატს კი წარუვალ მომხიბლაობას ისევ და ისევ დიდოსტატურად მოძებნილი ეპითეტი („გაყინული“) ანიჭებს. თუკი ეს შესძლო (ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს), ლექსსა და პოეტს მეტი არც მოეთხოვება.

ახლა კვლავ მის საყვარელ სხვა წინამორბედ პოეტს უნდა მივუბრუნდე. გიორგი ლეონიძე არა მარტო ლირიკულ ლექსებში ეთაყვანებოდა ბესიკის მზიურ ჩანგს, მან, ძველი ხელთნაწერებისა და დამტვერილი საარქივო მასალების ჩაღრმავებულმა მცოდნემ, უდიდესი შრომა გასწია, რათა გაბაშვილთა გვარის უთვალსაჩინოეს ფიგურაზე, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ესოდენ ფასეული, სწორუპოვარი მონოგრაფია შეექმნა. აქ ერთი მცირე აბზაცი უნდა ამოვწერო იმის ნათელსაყოფად თუ როგორი სისრულით დაინახა მან ანაკრეონტული სულის დიდი ქართველი მგოსნის მრავალმხრივი ნიჭი-ერება და დამსახურება:

„თუ მძლავრია ბესიკის პოეტური პათოსი, მისი გულის ვნებანი, არანაკლებია ბესიკის პოეტური ფორმის ბრწყინვალეობა, ლექსის პოეტური სინმიდდე, პლასტიკურობა, დახვენილობა და, რაც მთავარია, მუსიკალური გამომგონებლობა. ბესიკის მაღალსიტყვიერი ოსტატობა და ნოვატორობა, ფორმალური და ტექნიკური ძიებანი – რიტმის სიმდიდრე, ლექსის ზომის მრავალგვარობა უნიკალურად ხდიან ბესიკის სახელს ქართულ პოეზიაში“ (ლეონიძე 1959: 287).

ზედმეტი არ იქნება, აქვე გავიხსენოთ იმავე ოცდაათიანი წლების მოზრდილი ლექსი „თბილისის პოეტები“ სადაც გიორგი ლეონიძე მის თანამედროვე კალმოსანთა არაფრისმომტან სიმრავლეზე გულისწყრომას გამოთქვამს, კილავს მათ; არც საკუთარ თავს ინდობს, რადგან ადრინდელთა

მადლი და ჯავარი არ გამოჰყოლიათ. ეს შეპირისპირება ცოცხალთა სააშკარა-
როზე გამოსატანად, შესარცხვენად არის მომარჯვებული. გარდასულთა-
გან პიროვნულად მხოლოდ ბესიკია დასახელებული, როგორც ჭეშმარიტი
პოეზიის მისაბაძი მაგალითი. ლექსის საერთო პათოსის და დანიშნულების
მისახვედრად რამდენიმე მიზანში მოხვედრილი სტროფის მოხმობაც იკმარებს:

...
ბევრი მუქთად ატრიალებს
სიტყვის სანაყელასა,
ძველ პოეტებს ვერ აჰყვება,
ვერც ბესიკის ყელსა.

ჩვენ ვერ ვმღერით ისე ტკბილად,
ლექსებს იმათებურს;
ჩვენ ლექსებში ფხას ვერ ვამჩნევ,
ხმაში მიმატებულს.

...
ის თაობა ჩონგურებით
სამოთხეში შავა;
ჩვენი ყელი შაშხი არი,
გაბოლილი შავად.

(ლეონიძე 2000: 182)

პოეტის განუმეორებელ ხელწერაზე მიმანიშნებელი, ხალხური იერის,
ახალი და მრავლისდამტევი მეტაფორაა „სიტყვის სანაყელი“. იგი შეგვახსენ-
ებს – რამდენ დარჯაკში უნდა გაიაროს სიტყვამ, რამდენჯერ გაიწეროს,
მოისინჯოს, რათა ბოლოს სტრიქონში დაიმკვიდროს ყველაზე შესაფერი
ადგილი, საიდანაც ძვრას ვერ უზამ. მასთან რითმად დანყვილებული „ბესიკის
ყელი“ გვიმხელს – რაოდენ სუფთა, საამო და დახვეწილი იყო „ტანო ტატა-
ნოს“ ამომთქმელის ხმა და ამიტომაც არ ძალუძთ დღევანდელებს, იმდროინდელ
„იმათებურად“, „ტკბილად“, იმდაგვარ კეთილხმოვანებას ვერასგზით ვერ
მიაღწევენ. ამ ლექსშიც მოხდენილად არის გამოყენებული ზმნის კუთხური
ფორმა („ის თაობა ჩონგურებით სამოთხეში შავა...“). მძაფრ კონტრასტს
ქმნის, აგრეთვე, ოქროს სადარ „ბესიკის ყელთან“ შედარებული, უბადრუკ
შთამომავალთა „შავად გაბოლილი ყელი“, რომელსაც სათქმელის ლაღად
ამომღერება უჭირს, ბუნებრიობას, ღვთაებრივ ჰარმონიას ვერ ეზიარება.

თუმცა დასავლეთის კულტურის, ანტიკური სამყაროს მონაპოვარი
შესისხორცებული ჰქონდა, ბესიკის ლექსთა მოზრდილი ნაწილი აღმოსავ-
ლური (სპარსული) პოეზიის ზეგავლენიდან მომდინარე ტრადიციით არის
ნასაზრდოები და რამდენადმე დამძიმებული – ანბანთქებებისა და ზმებზე
განყოფილი, მაჯამური რითმებით არის გადატენილი და მათ აშკარა ხე-

ლოვნურობის დალი აზის, აზრის გამოტანა ძნელდება, უკიდურესად ბუნდოვანია; საცა კი იგი ამ შემბოჭავი არტახებისგან თავისუფლდება, მისი სტრიქონი მოქნილობასა და სასურველ სილალეს იძენს, თამამი სიახლითაც გამოირჩევა. ნათქვამის დასტურად მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

თავდაპირველად შევარჩიე ნაწყვეტი („სევდის ბაღს შევალ“) სადაც პოეტი თავის ლომურ ბრჭყალებს აჩენს იმის ნიშნად, თუ როგორ არ უშინდება, არ უფრთხის სულთამხუთავის კლანჭებს, რომლისგან გაუკრავადაც ნუთისოფლის ხიფათიან გზას კაცთაგანი ვერ გალევს:

მეც მომხვდა სოფლის მჭრელი ბრჭყალები,
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწირები.

(ბესიკი 1962: 31)

რუსთველის სიტყვის მადლს დანაფებული, მოხდენილ ეპითეტთა მარჯვედ მიგნების როგორი დიდოსტატია ბესიკი, ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდანაც („მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა“) კარგად ჩანს:

თუ ნახო ვარდის კარნი ლიანი,
ან მოგეგებნენ ნაზნი იანი,
ჩემ მაგიერად იგი ჭკვიანი
ნარგიზი ნახე, ქცევამზიანი.

(ბესიკი 1962: 33)

გამორჩეულად შთამბეჭდავია მეტაფორად ჩათქმულ ნარგიზთან მისადაგებული, ბოლო სტრიქონში მოქცეული, რითმად გატანილი ეპითეტი – „ქცევამზიანი.“ ეს ლექსიც, სხვათა მსგავსად, რეალური არსებისადმია მიმართული (მაია ერისთავი). „ჩემ მაგიერად ნახე“ – ეუბნება პოეტი ვინმე შუამავალს მონატრებულ ნარგიზზე, თან იქვე მასვე აცოდებს თავს: „მეცა გახსოვდე მცირედლიანი, მომიგონებდე ფერნამკრთალებსა.“

ბესიკის ლირიკასა და პოემებში უხვადაა გაბნეული რუსთველისეული, რამდენადმე ტრანსმორფირებული მეტაფორები, მაგრამ ეს ტრადიციული ხატები, მეტწილად, მის მიერვე დამკვიდრებულ „მცირე ბესიკურად“ სახელდებულ, თოთხმეტმარცვლიანი ლექსის საბურველშია გახვეული და ამავე დროს მუხამბაზური იერიც დაჰკრავს. ამის თვალსაჩინო მაგალითად მისი უპირველესი შედეგის („ტანო-ტატანო“) ორიოდე სტრიქონი შეგვიძლია მოვიხმოთ:

ძონ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთნამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

(ბესიკი 1962: 35)

რუსთველური ლექსი ყველგან სანაქებო ოსტატობითაა გამართული; დაბალი და მაღალი შაირიც ჰარმონიულად ენაცვლება ერთმანეთს და ალაგ-ალაგ ბესიკი „ვეფხისტყაოსნის“ სადარ მზიურობას ასხივებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მისგან გადამეტებულად აღზევებული (ამას მასზე შემომ-წყრალი მეფე ერეკლეს გასაღიზიანებლად სჩადიოდა) დავით სარდალის გარეგნობას აღწერს („რაც მიიწერა სოფელმან“). აქ, ძალაუნებურად, თვალწინ ტარიელისა და ავთანდილის შესახედობა წარმოგვიდგება. თეთრ ცხენზე ამხედრებული ლომგული მეომარი, დაღამებამდე, მცირე რაზმით, ლეკთა ლაშქარს მუსრავს:

მწუხრისა ჟამმან გაკმარნათ თქვენ მათი ცემა-ჟლეტანი,
 მობრუნდი გამარჯვებული თეთრსავე მჯდომი მზეტანი.
 (ბესიკი 1962: 80)

მოტანილ ნაწყვეტში, თვალისმომჭრელი ელვარებით, ყურადღებას იპყრობს ცეცხლისფრად ანთებული იშვიათი სილამაზის ეპითეტი – „მზეტანი“. აქ უნდა გავიხსენოთ გიორგი ლეონიძის უკვდავი წიგნის „ნატვრის ხის“ მშვენება, ჭეშმარიტად გენიალური მოთხრობა „ღვინჯუა“, სადაც ქმარს მოშორებული, ალერსს დანატრებული, ოჯახურ წვეულებაზე მხარბეჭიან, ულამაზეს „მოხეტიალე მონადირეს“ ვნებიანად მიჩერებული პატარძალია დახატული. მკერდსავსე, ათქვირებულ დუდლუბას ყოველ მოძრაობას გაფაციცებით აკვირდება ავად დაეჭვებული დედამთილი, ვისზედაც ნათქვამია: „ბუს წითელი თვალის ნაკვერჩხალივით ელავდა თვალი“. ეს უზუსტესი შედარება მომდევნო მცირე წინადადებაში ავარგარებულ მეტაფორად იქცევა, და, რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, იქვე ანათებს ბესიკის ლექსის ხაზგასმული სიტყვა-ეპითეტი: „ნაკვერჩხალმა მოსუსხა, მოსწვა პატარძლის მზეტანი“. გიორგი ლეონიძეს ქართული ენის ზვავივით მოვარდნილი, სამანდაუდებელი საუნჯე მუდამ ხელთ ეპყრა, მკერდთან ჰქონდა მიხუტებული და მისგან არაფერი იყო მოულოდნელი.

დავით სარდალის უზომო აპოლოგიაა მოზრდილი მიძღვნა „ასპინძისათვის.“ მიძღვნის პირველივე, ამაღლებული სიტყვები („ასპინძის მიწა გინამებს“) მიგვანიშნებს, რომ ბესიკი ასპინძის ომის მოგების პატივს მთლიანად დავით სარდალს მიაკუთვნებს მაშინ, როდესაც ამ სასტიკ შეტაკებაში უმთავრესი ფიგურა ჭარმაგი მეფე ერეკლე იყო (საამისოდ მარტო უმამაცესი კოხტა ბელადის მოკვლაც კმარა), ვის საარაკო გმირობასაც განაწყენებული პოეტი განზრახ უგულვებელყოფს. ლექსში ზეალმტაცი ექსპრესიითა და უმდიდრესი ფერადოვნებით არის გაცოცხლებული ბატალური სურათები. მრავალთაგან მხოლოდ ერთ მათგანს მოვიყვან:

კვლავ იქეთ ლეკთა ჩაუხტი, დამართნი ცისა გრეხანი,
 წინა ჩაგისხდნენ დარჩევით ოსოქოლ და კატეხანი.
 (ბესიკი 1962: 83)

ცის რისხვით დაგრაგვნა, დაგრეხა მეტაფორულად გვაგრძნობინებს, თუ რა წელში გამწყვეტი მები დაატეხა გავეშებით მეზრძოლმა დავით სარდალმა მეტოქეს. ლექების აული ოსოქოლო იმითაც დაგვახსოვდა, რომ იგი გურამიშვილის ტყვეობის ადგილია და „დავითიანში“ არის ნახსენები („მიყვავდი ოსოქოლოდა“); სოფლის სახელს ერითმება – „ჩასაქოლადა“ და ეს იმ დროისათვის იყო ძალზე იშვიათი, დაუჯერებლად თამამი და ახალი კონსონანსური სარითმო წყვილი.

სახელგანთქმულ, მაგრამ ოსტატობის თვალსაზრისით ნაკლებად შესწავლილ პოემაში „რუხის ბრძოლა“, სადაც თექვსმეტმარცვლიან მაღალ და დაბალ შაირს, დროდადრო, ბუნებრივად ებმის შიდა რითმებზე განწყობილი ათმარცვლიანი ლექსი, ბესიკმა სამაგალითო ხელოვნებით შეასხა ხოტბა იმერეთ-გურია-სამეგრელოს ძლევაშემოსილ გამარჯვებას ოსმალთა და ჩრდილოკავკასიელი მაჰმადიანი ტომების შეერთებულ ლაშქარზე (1779), რაც ბევრწილად განაპირობა იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ქმედითმა თანადგომამ. პოეტის მიერ ჰომეროსის, ათენელ ბრძენთა (პლატონი, არისტოტელე), ლეგენდარულ ტროას ომის გმირების (ჰექტორი, აქილევსი) ხსენება, ცხადია, ჰიპერბოლურია, მაგრამ ბესიკ გაბაშვილს ჰქონდა საბაზი, ქართველთა ეს გადამწყვეტი შერკინება ვერაგ დამპყრობლებთან, რომელშიც თავად მონაწილეობდა და კიდევაც დაიჭრა, შარავანდედით შეემოსა. ხედვის სიახლითა და გამოხატვის უჩვეულო ხერხით ძალზე საყურადღებოა ორი, ბრძოლის ველის წარმომჩენი მძაფრი ადგილი, რაც ბესიკის იშვიათ პოეტურ მეტყველებას მრავალთაგან თვისობრივად განასხვავებს:

ზურგად ქვევითს მოიქცევდენ, სიმაგრე სჩანს ვითა ლასტი,
რა ზარბაზანთ შექმნეს ხველა, უჩარდიას მოხვდა ხრასტი.

(ბესიკი 1962: 127)

„რა ზარბაზანთ შექმნეს ხველა“, – თავისებურად და მარჯვედ გადმოსცემს მრისხანე, გამანადგურებელი იარაღით ჭურვების გასროლისა და აფეთქებათა რამდენადმე მიყრუებულ ექოს. მსგავსი რამ ქართულ პოეზიაში მანამდე და შემდგომაც, თანაც ასე, არავის უთქვამს.

მეორე მაგალითი კიდევ უფრო მეტი პოეტური გზნებისა და გალალეზული წარმოსახვის მაცნეა. პოეტის კვალდაკვალ, წამკითხველი თვალნათლივ წარმოიდგენს ალისფრად შეღებულ გაშიშვლებულ ხმალს, რომელიც თითქოს თავისით დაქროლავს მომხდურთა რიგებში და ვისაც გადაეყრება, თავებს ასხეპავს:

ლეკურსა დრო ხვდა, მიჰკაფდა, ვით ნახა ზურგი ჯაბანი,
ჰაერსა შიგან ფრინავდა ხმალი სისხლითა ნაბანი.

(ბესიკი 1962: 129)

ყველაზე დიდი პოემა „რძალდედამთილიანი“, სადაც იგივე საზომები ჰარმონიულად ენაცვლება ერთმანეთს და კვლავ მრავალი სიახლით, მო-

ულოდნელობებითაა აღბეჭდილი, უთუოდ ღირსია საგულდაგულოდ გარჩევისა. ყოფითი სურათების უაღრესად ცოცხლად, დამაჯერებლად ამსახველი დიდაქტიკური სულისკვეთების, გროტესკული, ღიმილისმომგვრელი სცენებით აღსავსე ნაწარმოები, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, გურამიშვილის „ქაცვია მწყემსზე“ ადრე დაინერა და ესეც ცალკე დამსახურებად უნდა მივთვალოთ ბესიკს. სათქმელი რომ არ გამიგრძელდეს, მხოლოდ ორ სტრიქონს მოვიტან. თვალთმაქცი, დედამთილის ცემით მომკვლეელი და მერე ერთგულების მოთამაშე ცოლი მის მიმბეგვავ ქმარს თავს აცოდებს და ყასიდად ასეთ რამეს ეუბნება:

ვა, გეთხოვები, სიკვდილსა მივეყვარ სულთა მპარავსა,
ან გესალმები ყოველსა, სოფელსა მთა და ბარასა!
(ბესიკი 1962: 156)

თუ დავაკვირდებით, ამ ლაღად ამოთქმულ სტრიქონებსაც, მიუხედავად მათში შეფარული გამკენწლავი ირონიისა, „ვეფხისტყაოსნის“ ჩაუქრობელი ათინათი ადგას (ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...“). მსგავსი მაგალითების დაძებნა, „რძალდედამთილიანში“ მრავლად შეიძლება.

ბესიკის ყველაზე ცნობილი სატრფიალო ლექსის („დედოფალს ანაზედ“) პირველსავე სტროფში, ტრფობის საგანთან ერთად, მცირე ავტობორტრეტია ჩახატული. ერეკლესა და მისი გარემოცვის მიერ მოძულეზულმა, თბილისის ნეტარ გარემოს, ზაფხულობით ბაღებში ქეიფს, სიმღერასა და დროსტარებას მონყვეტილმა, „მცირედლიანმა“ და „ფერნამკრთალებმა“ პოეტმა უცნაურად იწინასწარმეტყველა თავისი ყარიბობა, უცხოეთში გადახვეწა ისე, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდას, თვალტანადობით გამორჩეულს, სამარედ, ნიკოლოზ ბარათაშვილის დარად, მშობლიური მიწაც არ რგებოდა:

ვარ უცხო ვინმე ყარიბი ამა სიტყვისა მშობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი,
მონა ვარ მისი მუდამ ჟამ და მისი შემამკობელი,
იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი...
(ბესიკი 1962: 39)

ბოლო სტრიქონმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი ადგილი („იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია..“)
სადაც რუსთაველი „შეფარვით“ მიგვანიშნებს თავის უღმობელ სატრფოზე.

ბესიკის ამავე ლექსის მესამე, უმაღლესი ოსტატობით გამართული სტროფის რითმებში დაქარაგმებულია დედოფლის სახელი – ანა. ყველაზე უფრო გამოკვეთილად რუსთაველის პოემისგან, ეს სტროფია დავალებული. ნათქვამის დასტურად, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისათვის ერთ-ერთი საკვანძო თავიდან („ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან“), სადაც ავთანდილი მალულად უჭვრეტს ცხენიდან ჩამომხდარ ტარიელს, მცირე ნაწყვეტს მოვიხმო:

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,
დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან...

აქვე ამას გვერდით ამოვუყენოთ ბესიკის ნაგულისხმევი, თავისებურად დატრიალებული სტრიქონები და მათი წარმომავლობა უმალ ნათელი გახდება. დავრწმუნდებით – მდინარის გამკვეთი ორაგულის მალლა აშვერილი კუდივითაა მოქნეული რუსთველური წყობისა და ჟღერადობის რითმები (ცნობის მიხდა და გულის ნასვლა ხომ „ვეფხისტყაოსანში“ ხშირზე ხშირია):

ცნობა მიმილო და გული, ხედვით შემზლუდა ანამან,
კვლავ მომკლა მისმა ციალმან და წელის მიმოტანამან...
(ბესიკი 1962: 39)

ბესიკის მიერ ქართულ პოეზიაში შეტანილი და დანერგილი სიახლენი, მისი მრავალმხრივი, განსაცვიფრებელი პოეტური ოსტატობა, ფრაზის ვირტუოზული მუსიკალობა, სახეობრივი მეტყველების თავისებურებები, საგანგებოდ და ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ეს უნდა გააკეთოს იმან, ვისთვისაც გადაულახველ სიძნელედ არ აღმართლა ლექსის ნაირგვარი საიდუმლოებანი, აქვს სიტყვის შეგრძნობისა და შეცნობის უფაქიზესი უნარი, უტყუარი ალლო; ხელენიფება პოეზიის ფარული შრეების განჭვრეტა და ყოველივე ამის ნათლად, გასაგებად დალაგება და დახვეწილი ენით გადმოცემა შეეძლება.

გიორგი ლეონიძემ, თავის ფასდაუდებელ გამოკვლევას რომ წერდა, არქივებსა თუ პირად წერილებში გაბნეული მრავალი სანდო საბუთი მოიძია და ეჭვმიუტანლად დამტკიცა, რომ ბესიკის ტრფობის უმთავრესი საგანი იყო ყურალადასად წოდებული გიორგი ქსნის ერისთავის ასული მაია, ერეკლეს საყვარელი დისწულის, ნაადრევად გარდაცვლილი მამუკა ორბელიანის ცოლი. ეს ამბავი და მაიაზე დაწერილი, სიმღერად ქცეული ლექსები გახმაურდა, რაც, რალა თქმა უნდა, განარისხებდა ერეკლეს. თავის დაქვრივებულ რძალთან გამიჯნურების გამო, მეფემ პოეტის დასჯა გადაწყვიტა. გადმოცემის თანახმად, რომელიც ბატონიშვილს ბესიკისთვის მოსალოდნელი საფრთხე უცნობებია და იგი თბილისიდან იმლამითვე გაქცეულა. იყო სხვა მიზეზებიც (თუნდაც ბესიკის მამის, ზაქარიას ძველი მტრობა ერეკლესადმი), რისთვისაც ზნეობის უშელავათოდ დამცველ მეფეს არ შეიძლებოდა, ზედმეტად ლალი, შეუზღუდავი ცხოვრების, მოღური ჩაცმა-დახურვის, ვაჟკაცისათვის შეუფერებელი კოპნიაობის მიმდევარი ბესიკი ყვარებოდა. ხელისუფალზე თავისი გავლენა მოახდინა, აგრეთვე ბესიკთან სამკვდროსასიცოცხლოდ დაპირისპირებულმა არისტოკრატმა, გონჯი გარეგნობის, მაგრამ განათლებულმა, ჭკვიანმა, პოეტზე არანაკლებ გესლიანი ეპიგრამების დამწერმა მზეჭაბუკ ორბელიანმა, ვისაც ერეკლე დიდად ენდობოდა. ცალკეულ წერილმანებზე გამოდევნება აქ არ გამოდგება, მაგრამ მონოგრაფიის ავტორის შემაჯამებელი აზრი უთუოდ უნდა დავიმონწმო:

„ამგვარად ბესიკის ტრაგიკული სიყვარულის მიზეზი ყოფილა მათი ერისთავი, რომლის ძვირფასი სახე დღემდე დავინწყების ბურუსით იყო მოცული. ჩვენმა მკვლევარებმა მათას როლი ბესიკის ცხოვრებასა და პოეზიაში, გაუგებრობით, მათას ქალიშვილს ანას მიაკუთვნეს. ამიერიდან მათას ძვირფასი აჩრდილი განუშორებლად იდგება ბესიკის გვერდით (ლეონიძე 1959: 363-364).

გიორგი ლეონიძეს ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაზე ზრუნვა ამ მეტად გამოსადეგი ნაშრომის დაწერის შემდეგაც არ შეუწყვეტია. ცალკეა აღსანიშნავი, თუ როგორი მონდომებითა და რუღუნებით ეძებდა იგი რუმინეთში გარდაცვლილი უილბლო პოეტის საფლავს; საამისო ეპიზოდებს გულისშემძვრელი განცდით გვამცნობს მოგზაურობის დღიურის ერთი ნაწილი – „ბესიკ გაბაშვილი იასში.“

უცხოეთში დამარბული პოეტის თავგადაკლული ჭირისუფალი ქალაქ იასში 1956 წლის სუსხიან იანვარს ჩასულა და მაშინვე საქმეს შესდგომია, რაშიაც რუმინელი კოლეგები დაეხმარნენ. იასი მალარიით ყოფილა განთქმული ისევე, როგორ ოვიდიუს ნაზონის გადასახლებისა და გარდაცვალების ადგილი, ქალაქი ტომი (დღევანდელი კონსტანცა). ერთმანეთთან საუკუნეების რიგით დაშორებულ, დაახლოებით ზიარი ბედის ორ „სიყვარულის პოეტზე“ (მათი შემოქმედების მასშტაბი და არეალი ცხადია, დიდად განსხვავებულია) ზოგ რამეს შემდგომში ვიტყვი.

დაუცხრომელმა მკვლევარმა კითხვა-კითხვითა და საარქივო მასალების შესწავლის მერე დაადგინა, რომ ორმოცი წლის მოულოდნელად გარდაცვლილი ბესიკი (მისი სიკვდილის მიზეზის რამდენიმე ვერსია არსებობს) დაიკრძალა ვინერის ტაძარში 1791 წლის ისეთსავე ცივი იანვრის დღეს, როგორსაც თვითონ ჩავიდა იასში. 1879-1880 წლებში, სიძველის გამო, ეს ტაძარი დაუნგრევიათ და ვისაც პატრონი გამოუჩნდა, მათი ნეშტი სხვაგან გადაუსვენებიათ, ხოლო ბესიკისა, როგორც უპატრონოსი, იქვე დარჩენილა. გადარჩა მხოლოდ პოეტის საფლავის ქვა, რადგან ძვირფასი მარმარილოსი იყო და იგი 1922 წელს გოლიას მონასტერში გადაეტანათ.

გიორგი ლეონიძეს დაწვრილებით აქვს აღწერილი ოსტატურად მოჩუქურთმებული ნარწერებიანი ფილა. კედელზე მიყუდებულთან, სამახსოვრო ფოტოც გადაიღო, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა და მასპინძელთა დახმარებით მიაგნო იმ ადგილს, სადაც იმერეთის მეფის, დავითის მიერ ნარმატებულ დესპანად გაგზავნილი პოეტი დაკრძალეს.

საგრძნობია, აშკარად გვესმის გიორგი ლეონიძის მღელვარებისგან გახშირებული სუნთქვა, როცა იგი საკრალურ ადგილას ყოფნის დაუფინყარ და, ამასთანავე, სინანულით აღსავსე წუთებზე მოგვითხრობს:

„აქ, ამ მოედანზე, ამ მოკირწყლული ქვების ქვეშ ბესიკია დანაცრებული. მე თითქმის პირველი ქართველი პოეტი ვარ, მდგარი ბესიკის საფლავის წინაშე. ქართველი პოეტებიდან ბედნიერ წილად მე მერგო მისი პირველი ხილვა.“

მე ვარ ამოსული ბესიკის მშობელი თბილისიდან, რომელიც მან 1777 წელს დატოვა, და ამ წამს მაგონდება, თუ როგორ ეთხოვება ბესიკი თბილისის მზიან არეს, მტკვრის მხიარულ ნაპირებს...”

აქვეა მოტანილი ბესიკის ერთი ლექსიდან გამთოშავი ქარბუქის დამხატავი, ბარათაშვილის მსგავსი ნაჭედობით გამორჩეული სტრიქონები („დაგვბურნა ქარმან დაუნყნარმან, ზღვად ვიფარენით...“), რასაც ისევ მოჰყვება გიორგი ლეონიძის ნაღვლიანი შეხმიანება, იმ ლექსის შესატყვისი:

„მართლაც ქარი ადგა, ქარაშოტი, ღრუბლები შავად შეიკუმშა და მობეგიალე ქარში მომესმა ბესიკის მუდარა:

მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე,

ჩამიდგი სული!“

(ლეონიძე 1959: 398-399)

პირნათლად აუსრულა ეს უკანასკნელი სათხოვარი მისმა მოთაყვანე და მის კვალზე დამდგარმა, მისი განსასვენებლის მპოვნელმა ხელმადლიანმა შთამომავალმა.

„ბესიკს გაბარებთ!“ – დაუბარებია თვალცრემლიან სტუმარს კეთილი მასპინძლებისათვის, რომლებიც შეპირებიან, რომ მათ მიწაში დასაფლავებული პოეტის ბიუსტს დადგამდნენ.

დღიურის თავში გახსენებულია რუსთაველის მაგიური, გვერდაუქცევი ნათქვამი: „სადაურსა სად წაიყვან...“, ასე რომ ესადაგება წუთისოფლის სიმუხთლესა და ბესიკის გაუხარელ ბედს. ამგვარადვე ნაღვლიანია ამ დღიურის ბოლო, პატარა აბზაცი, რომლითაც გულდამძიმებული პოეტი იქაურობას ემშვიდობება:

„მატარებლის თქრიალში, რუმინეთის დაბინდულ ველებზე, ქარის ყივილში თითქოს ქროლვით თან მომდევდა გადახვენილი ბესიკის მწუხარე ლანდი და საქართველოსთან მბარებდა:

ერთხელ აღირსე შენი ხილვა

შენსა მზირებსა!“

(ლეონიძე 1959: 400)

მცირე მოცულობის ნაშრომში, შევეცადე, ნაწილობრივ მაინც მეჩვენებინა, რა მამულიშვილური მგზნებარებით აფასებდა გიორგი ლეონიძე წინაპარ პოეტთა წარუშლელ ღვაწლს, რაოდენ ერთგული იყო იგი ქართული პოეზიის საუკუნოვანი ტრადიციებისა, რამდენად სისხლხორცეულად ჰქონდა ათვისებული წარსულის მდიდარი გამოცდილება. ეს ფესვეული კავშირი გაცილებით ღრმა და ფართოა, რის უფრო სრულად წარმოჩენასაც შემდგომში ვაპირებ.

დამონებანი:

Besik'i. *Tkhzulebani*. Tbilisi: 1962 (ბესიკი. *თხზულებანი*. თბილისი: 1962).

Grishashvili Ioseb. *Ts'erilebi*. T'. 4. Tbilisi: 2012 (გრეშაშვილი იოსებ. *წერილები*. ტ. 4. თბილისი: 2012).

Kvit'aishvili Emzar. *Kartuli Sit'q'vis Bazieri*. Tbilisi: 2003 (კვიციანი ემზარ. *ქართული სიტყვის ბაზიერი*. თბილისი: 2003).

Leon Melikset-Begi. "Saiatnovas Vinaoba. K'rit'ik'ul-biografiuli Et'iudi". *Kartuli Ts'igni*. 1930 (ლეონ მელიქსეთ-ბეგი. „საიათნოვას ვინაობა. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი“. *ქართული წიგნი*. 1930).

Leonidze Giorgi. *Gamok'vlebebi da Ts'erilebi*. Tbilisi: 1959 (ლეონიდე გიორგი. *გამოკვლევები და წერილები*. თბილისი: 1959).

Leonidze Giorgi. *Sakartvelos Tsremlebi*. Tbilisi: 2000 (ლეონიდე გიორგი. *საქართველოს ცრემლები, ლექსები*. თბილისი: 2000).

Teimuraz II. *TkhzubaTa Sruli K'rebuli*. Tbilisi: 1939 (თეიმურაზ II. *თხზულებათა სრული კრებული*. თბილისი: 1939).

**Emzar Kvitaishvili
(Georgia)**

Giorgi Leonidze and the Poets of Old Times

Summary

Key words: Giorgi Leonidze, Besiki, poetry.

Among 20th-century Georgian poets, it is difficult to name any other writer who could, like Giorgi Leonidze, evaluate the merits of their predecessors and give a comprehensive description of their works. Not many could show such sympathy as he did, concern about the forgotten, assistance in scholarly editions of the literary heritage. Since his youth, it became his inner, spiritual need.

Having had a wonderful talent for poetry, he was thoroughly acquainted with the history of Georgia, museums located in different cities, archival materials, ethnography which is evidenced in numerous letters and diaries. All this gave credibility to Giorgi Leonidze's studies, the reliability of which has never been questioned.

He expressed his love and admiration for his great predecessors especially in poetry. The title of this paper has been specially chosen. In his youth, Giorgi Leonidze wrote extremely interesting verse, which is called "The Poets of Older Generations". First, a reference is made to the eminent poets of the past centuries; then it is said how naturally and freely their voices sounded like chanting of so many different birds and in the third stanza some of them are directly named - "Shota, Besiki, Guramishvili, Vazha-Pshavela". This

does not mean at all that Giorgi Leonidze would not mention those who are missing from this list with the same reverence. Every time he listed the earlier Georgian poets, naturally, he gave priority to Rustaveli, although he did not publish any scholarly research on the author of the “Vepkhistqaosani”, as he felt himself unprepared for this. However, to none of his predecessors, he dedicated as many verses of admiration as to Rustaveli.

Giorgi Leonidze particularly appreciated Guramishvili and Vazha-Pshavela as genuine exponents of pure poetry that is specially underlined in the work. If someone in Georgian poetry was a successor of Guramishvili and Vazha-Pshavela, then first of all, it was Giorgi Leonidze – no wonder that he addresses their ghosts: “I am following in your footsteps.”

Giorgi Leonidze’s fascination with Besiki and Sayat-Nova was quite special and never waned. While still young, he regretted that they were not properly appreciated; in the following years he did a lot to promote these two poets and made the names shine like precious stones, so that the twentieth century may see the innovations introduced by them in Georgian poetry. In Giorgi Leonidze’s works, a peculiar use of rare epithets in the spirit of Besiki is observed, when a new life is given to the word, a different effect is produced.

A vivid example of this is Besiki’s love poem on the oriental motive “The Nightingale Whistles” in which the poet masterfully uses the majama rhyme scheme (ai ra-aira). Undoubtedly, it is devoted to some real person, whose identity has not yet been established. It is she to whom the epithet of rare beauty in Georgian poetry belongs to: “xmadamtvralo aira” [drunk in love].

This epithet immediately calls attention for its depth and originality. The previous stanza has an ordinary, widely used epithet - “sabralo” [poor] and against this background, which creates the desired contrast, the novelty is better felt.

Besiki’s new epithet, rather unexpected for the eighteenth century was skillfully used and inserted in a proper place like a precious stone in one of the most powerful poems of the thirties - “Sayat-Nova” by an unsurpassed connoisseur of his works, Giorgi Leonidze:

შე საწყალო ფეიქარო,
ხმადამთვრალი საათნოვა,
ჭიანურო, ცეცხლის მყრელო,
რა ნალველმა გაგათავა?!

[O poor weaver,/ drunken with love Sayatnova,/your chianure (musical instrument) is burning, exhausted./ What sadness finished you ?!]

Being inspired by Besiki, Giorgi Leonidze dedicated a poem full of ecstasy to the great minstrel- poet and ashugh Sayat-Nova, the singer in three languages. The epithets are almost the same in both cases, “sabralo” [the poor] is replaced by “satsyalo” [miserable] which are synonyms and “xmadamtvralo” is repeated without change. But if in Besiki’s verse it is somewhat lost, in Leonidze’s poem it acquires a completely different charm and sparkle. Here, not only love and dizziness from the wine come to light, but

intoxication with poetry, music, inspiration is implied. An exclamation: “Your chianure is burning/What sadness finished you ?!] expresses passionate excitement. The question itself is rhetorical and does not expect an answer. The very first line of the poem openly states: “Love drove this poor Sayat-Nova crazy!”

It can be said that in turn, the epithet found by Besiki “xmadamtvrlo” embellished Giorgi Leonidze’s poem and one must pay tribute to the author of “The Garden of Melancholy”. This once again confirms the truth of Pushkin’s statement that “epithet is the soul of poetry.” It should always be remembered that the most accurately found epithet will make it clear as to what scale, talent and dignity the poet is.

Giorgi Leonidze was obsessed not only with Besiki’s lyrical poems but for years he studied the old manuscripts and materials scattered in various museums, and made every effort to make a comprehensive monograph about the most outstanding figure of the Gabashvili family. In this work, he saw in full the multifaceted talent and contributions of the great Georgian poet of the anacreontic soul that is evidenced even from this small excerpt:

“If Besiki’s poetic pathos of, the passions of his heart are strong, no less is the brilliance of Besiki’s poetic form, the poetic purity of the verse, plasticity, sophistication and, most importantly, the musical inventiveness. Besiki’s high verbal skill and innovation, formal and technical studies - the richness of rhythm, the diversity of poetic metre make his name unique in Georgian poetry. “

The literary heritage of the great creator, who died abroad and was buried in the town of Iasi (Romania), fully confirms Giorgi Leonidze’s view - in his verses and poems he reveals an unusual boldness of poetic speech (new, unexpected epithets, similar rhythms, comparisons and metaphors) which distinguishes him significantly from contemporaries and poets of the subsequent period.

The most important innovations introduced and established in Georgian poetry by Besiki, the elusive poetic skill, virtuosic musicality of the phrase, various ways of constructing images have not yet been properly studied. This circumstance must be unequivocally taken into account by our versificators.

I intend to continue my research in this direction in the near future and to present my observations more broadly.